ხელშეკრულება

ქ.ახალციხე 18.04. 2019 წ.

ჩვენ, აღნიშნული ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის მაკა ბერიძის სახით (შემდგომში - უნივერსიტეტი) და მეორეს მხრივ, შპს ,,წიფორა-სამცხე-"ს წარმოდგენილი უფროსის ამირან კაჭკაჭიშვილი სახით ორივე მხარე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და მიზანი:**
   1.1 წინამდებარე მემორანდუმი მიზნად ისახავს უნივერსიტეტსა და შპს ,,წიფორა-სამცხე-"ს შორის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარული ზედამხედველობის კუთხით.
   1.2 უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული საგანამანათლებლო პროგრამის სტუდენტებს საშუალება მიეცემათ მემორანდუმის ფარგლებში შესაბამისი სპეციალისტის დახმარებითა და ზედამხედველობით პრაქტიკის პერიოდში გაეცნონ და შეისწავლონ:
   - რძისა და რძის პროდუქტების სინჯების აღებისა და დაკონსერვების წესები;
   - რძის მიღებისა და პირველადი დამუშავების ვეტერინარულ-სანიტარიული და ჰიგიენური წესები;
   - რძის სისუფთავის ხარისხის დადგენა;
   - რძის ორგანოლეპტიკური თვისებების განსაზღვრა;
   - რძის მჟავიანობისა და რძეში ცხიმის პროცენტის განსაზღვრა
   - რძეზე ექსპრეს დიაგნოსტიკის მნეთოდებს;
   - რძის ფალსიფიკაციის დადგენა და სხვა.

2.მოქმედების ვადა და პირობები

1.3 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
1.4 მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე.

3. **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

ა. რეგიონული სამმართველოს უფლებებია:

- შპს ,,წიფორა-სამცხე-"ს შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით საჭიროების შემთხვევაში დასვას პრაქტიკის გრაფიკის ცვლილების საკითხი.
- მოითხოვოს პრაქტიკის ობიექტზე შინაგანაწესის შესრულება, დაცვა და განახორციელოს კონტროლი.
- განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

4. შპს ,,წიფორა-სამცხე-" ვალდებულია:

4.1 სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება საკონსულტაციო სამსახურის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით;

4.2 გამოყოს კვალიფიციური სპეციალისტი პრაქტიკის ხელმძღვანელად;

4.3 უზრუნველყოს სპეციალისტების მიერ სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება;

4.4 ნება დართოს უნივერსიტეტის წარმომადგენელს დაესწროს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროცესს.

5.უნივერსიტეტის უფლებებია:

5.1 საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროგრამიაში შეტანილი ცვლილებები ასახოს სილაბუსებში

6. უნივერსიტეტი ვალდებულია:

6.1 სასწავლო სემესტრის დაწყებისას მიაწოდოს შპს ,,წიფორა-სამცხე-"ს სტუდენტების სია და მათი საკონტაქტო ინფორმაცია;

6.2 დროულად მოახდინოს შპს ,,წიფორა-სამცხე-"ს ინფორმირება პრაქტიკის პროგრამასა და სილაბუსის ცვლილების შემთხვევაში.

6.3 დაიცვას მეორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები;

7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

7.2 წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

შპს „წიფორა-სამცხე“ საიდენტიფიკაციო კოდი:424066003 მისამართი: ახალციხის რ-ნი, სოფ. ურაველი უფროსი: ამირან კაჭკაჭიშვილი	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საიდენტიფიკაციო კოდი: 424066977 მისამართი: ახალციხე, რუსთაველის 113 რექტორი, ასოცირებული პროფესორი: მაკა ბერიძე